საქართველო

ხალგაზრდა ეროელი

5 ნოემბერი ხუთშაბათი 1991 № 127 (11760)

1921 წელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმის აზრი ერთმნიშვნელოვანია

როგორ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ტელეჟურნალისტთა მიმდინარე აქციისადმი, მოვიწვიოთ თუ არა ყრილობა, ღირს თუ არა კავშირმა იკისროს პროფკავშირის ფუნქციები — ეს საკითხები იდგა 30 ოქტომბერს გამართული საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმის დღის წესრიგში.

ხალხით გაჭედილი დარბაზი მოუთმენლად ელოდა წინა დღით მოწვეულ სტუმრებს, კერძოდ, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს თეიმურაზ ქორიძეს. მხოლოდ საპატიო მიზეზით დაუსწრებლობამ ააცილა მათ თავიდან ბრალდებათა კორიანტელი, უშურველად რომ გამოთქვამდნენ თავიანთ ემოციურ გამოსვლებში ცნობილი ჟურნალისტები: ზაზა ქინქლაძე, დოდო შონავა, ლია ბურჭულაძე და ბევრი სხვა. ისინი სასტიკად აკრიტიკებდნენ პრემიერ-მინისტრს ბ. გუგუშვილს. იგი, ამბობდნენ ისინი, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დეზინფორმაცია შეიტანოს საზოგადოებრიობაში ტელერადიოდეპარტამენტის საკითხზე.

ყველა ორატორი ერთსულოვანი იყო: „აქციას მხარს ვუჭერთ!"

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" ხუთი გაფიცული კორესპონდენტის წარმომადგენელმა დავთ ბაღათურიამ მოსთხოვა ხელისუფალთ დაიცვან მათ მიერვე მიღებული პრესის კანონი და თანამდებობიდან გადააყენონ მთავარი რედაქტორი ქალბატონი ია მუხრანელი. მას „შეამბოხენი" ბრალდ სდებენ სისტემატურად არაობიექტური ინფორმაციის ბეჭდვას და ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას. მოგვიანებით გამოსულმა „სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორის მოადგილემ ზურაბ ბერიძემ, რამდენადაც შეძლო, უარყო წაყენებული პრეტენზიები.

პლენუმზე იყო ცდა დღის წესრიგში შეეტანათ ორგანიზაციული საკითხი, მაგრამ გაწეული მუშაობის შესახებ საფუძვლიანი ანგარიშის გამო, რომელიც გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა, ცდა მარცხით დამთავრდა. პლენუმმა ერთხმად მიიჩნია, რომ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს მოქმედება სწორია.

ნაადრევად, მაშასადამე, არამიზანშეწონილად მიიჩნიეს აგრეთვე ჟურნალისტთა ყრილობის მოწყობა, რაც შეეხება საკითხს — იკისროს თუ არა კავშირმა პროფკავშირის ფუნქციები, გადაწყდა, გულდასმით შეისწავლონ ესოდენ სერიოზული პრობლემა.

„გადასწვდნენ" ზოგიერთ პრეფექტურასაც, რომლებიც უხეშად არღვევენ რა პრესის კანონს, თვითნებურად ცვლიან გაზეთის სტატუსს. ასე მოექცნენ, მაგალითად, გაზეთ „ქუთაისს" და მისი კოლექტივის მიერ კანონიერად არჩეულ რედაქტორს ალექსანდრე შენგელიას. მას ჯერ გამოუცხადეს „სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით", შემდეგ კი მოხსნეს სამუშაოდან. ყველაფერი მარტივად აიხსნება — გაზეთი არ გახდა პრეფექტურისა და საკრებულოს რუპორი. რესპუბლიკის პროკურატურამ მოითხოვა გაზეთ „ქუთაისთან" დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო განკარგულებისა და ბრძანებულებების გაუქმება და ალექსანდრე შენგელიას აღდგენა ადრინდელ თანამდებობაზე, მაგრამ ეს მოთხოვნა დღემდე არ სრულდება. უფრო მეტიც, ბატონი ა. შენგელია იდევნება.

სამწუხაროდ, ეს მაგალითი გამონაკლისი არ ყოფილა.

პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია გამოეთქვა აზრი, რომ ყველა გაზეთს, რომლებსაც დოტაციის გარეშე არსებობა შეუძლიათ, აქვთ თავისუფალი არსებობის უფლება.

პროფესიული ეთიკისა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარემ თედო ნინიძემ შეკრებილთ დაწვრილებით გააცნო საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანები. პლენუმის მონაწილეებმა მოისურვეს გაფართოვდეს საბჭოს უფლებამოსილებანი და მისცეს მას უფლება იურიდიული დახმარება გაუწიოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკავებულ ჟურნალისტებს.

პლენუმმა ერთხმად მიიღო მიმართვა საქართველოს ყველა ჟურნალისტისადმი.

გია კორძაძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმის მიმართვა

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ამ ბოლო ხანს შექმნილ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას თან დაერთო საინფორმაციო შიმშილიც, რაც, უმეტეს წილად, თვალსაჩინოდ გამოიხატა დღეისათვის მოქმედი ტელე-რადიო გადაცემებით, რესპუბლიკის ყოველდღიური გაზეთების ფურცლებზე. იმის ნაცვლად, რომ დაიხატოს ჩვენში შექმნილი ვითარების ობიექტური სურათი და საზოგადოებამ მიიღოს მართალი და ოპერატიული ინფორმაცია, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები და მოვლენები ძირითადად შუქდება მხოლოდ ცალმხრივი პოზიციებიდან, რითაც უხეშად ირღვევა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ მიღებული კანონის მოთხოვნები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცოდავდა და ცოდავს საქტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობა, რომელიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა და უწყობს დაძაბულობის ზრდას, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ერთმანეთისადმი დაპირისპირებას, დესტაბილიზაციას, რის გამოც საქართველოს ტელერადიოჟურნალისტებმა მიმართეს საპროტესტო აქციას, რომელიც დღემდე გრძელდება იმ მოტივით, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნები ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული.

პლენუმი მოუწოდებს რესპუბლიკის ჟურნალისტებს, ბოლომდე გაიაზრონ შექმნილი ვითარების დრამატულობა, ხმა აღიმაღლონ პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში ყოველგვარი ძალდატანებისა და უკანონობის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ ამ სამართლიან აქციას, ტელერადიოჟურნალისტების მოთხოვნებს, პრესის შესახებ კანონის უზენაესობას.

პლენუმს მიაჩნია, რომ საქტელერადიოდეპარტამენტის შენობაში აქციის გაგრძელება კვლავ შეიძლება იქცეს დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის კერად, რაც ყოვლად დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეიცვალოს დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ისეთი გამოცდილი და საღად მოაზროვნე პროფესიონალებით, რომლებიც შეძლებენ აქ ნორმალური შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას და ტელერადიოდეპარტამენტის მუშაკთა საქმიანობის წარმართვას იმ სულისკვეთებით, დღეს ესოდენ რომ ესაჭიროება ჩვენს ეროვნულ ხელისუფლებასა და მთელ საზოგადოებრიობას.

პლენუმი მოითხოვს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის შესაბამისად ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (განსაკუთრებით საქართველოს უზენაესი საბჭოს ეგიდით გამომავალ გაზეთებში), შეიქმნას შესაბამისი ატმოსფერო ჟურნალისტთა თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის; არ უნდა ხდებოდეს ჟურნალისტთა ადმინისტრაციული ან სამსახურებრივი შევიწროვება, მათი დევნა, შეურაცხყოფა და ცილისწამება. აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ, პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ჟურნალისტი და კინოდოკუმენტალისტი გიორგი ხაინდრავა.

ვინაიდან არსებობს ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას ხელაზალი დაპატიმრების საშიშროება, პლენუმის მონაწილენი პროტესტს გამოთქვამენ ამ შესაძლო აქტის წინააღმდეგ, ამასთან, კატეგორიულად მოითხოვენ კანონისა და ადამიანის ღირსებების აუცილებელ დაცვას.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნომ შექმნას აქციაში მონაწილე ტელე-რადიოჟურნალისტთა სოციალური დაცვისა და მატერიალური დახმარების დროებითი ფონდი და ამ მიზნით გამოყოს სათანადო თანხა.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს მიერ ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შედგენილმა ნეიტრალურმა კომისიამ, რომელმაც შეამოწმა და შეისწავლა ტელერადიოდეპარტამენტის ტექნიკური აღჭურვილობის საეთერო მზადყოფნა, შესაბამისი დასკვნით დაადასტურა, რომ ტელერადიოდეპარტამენტის სტუდიები, ცენტრალური და ვიდეოსაპარატოები, საფონდო ფონოთეკა და სხვა ტექნიკა სავსებით მზად არის და შეუძლია დღესვე განაახლოს ნორმალური მუშაობა.

პლენუმი მოუწოდებს შესაბამისი ინსტანციების ხელმძღვანელობას, ტელე და რადიოჟურნალისტებს ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ საქართველოს ტელევიზია და რადიო დაუყოვნებლივ ჩადგეს ერის სამსახურში.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმის მონაწილენი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

ნუგზარ არჩილის ძე მოლოდინაშვილი საქართველოს რესპუბლიკის **პრეზიდენტის** მრჩეველად შიდაპოლიტიკურ საკითხებში.

●

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თანხმობა მისცა პრეზიდენტს, რომ დაინიშნოს:

ჯონი მიხეილის ძე ფირცხალაიშვილი საქართველოს **რესპუბლიკის თავდაცვის** მინისტრად.

გია დანიელის ძე თოფურია საქართველოს **ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.**

ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა საქართველოს **რესპუბლიკის ხოფლის, ტყის მეურნეობის, ბიზნესისა და კვების მრეწველობის** მინისტრად.

●

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აირჩია:

კონსტანტინე ალექსის ძე ფირცხალავა საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს** იურიდიული **უფლებათა** მუდმივი **კომისიის** თავმჯდომარედ.

მედეა მირიანის ასული თუშმალიშვილი საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს** საგარეო **ურთიერთობათა** მუდმივი **კომისიის** თავმჯდომარედ.

ზაურ დავითის ძე ჯობალია საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს** ადამიანის **უფლებათა** დაცვის **მუდმივი** კომისიის **თავმჯდომარედ.**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობა

31 ოქტომბერს დილის 4 საათზე ავტომატებით შეიარაღებული რვა ბოროტმოქმედი თავს დაესხა ამბროლაურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას. წინასწარი დაკავების საკანში მათ ჩაამწყვდიეს მორიგე და ქვემორიგე, გაიტაცეს ორი კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი 60 საბრძოლო ვაზნით, ერთი მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, აგრეთვე რაიონული საავადმყოფოს კუთვნილი ნარკოტიკული პრეპარატები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო რეპერტუარი

მადრიდში მიმდინარე ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციაზე ისრაელმა და მისმა არაბმა მეზობლებმა დაიწყეს ორმხრივი მოლაპარაკებების სერია, რაც ნიშნავს კონფერენციის მეორე ეტაპის დაწყებას. სირიამ და ლიბანმა ცალ-ცალკე მოლაპარაკებები ჩაატარეს ისრაელთან, ხოლო მანამდე ისრაელის და იორდანია-პალესტინის დელეგაცია შეთანხმდნენ, გააგრძელონ დიალოგი დროებითი თვითმმართველობის შესახებ ისრაელის მიერ ოკუპირებულ მდინარე იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში.

ამასობაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა ი. არაფატმა გადაწყვიტა, მოუწოდოს საბჭოთა პრეზიდენტს, მ. გორბაჩოვს, ჩაერიოს, რათა შეწყდეს საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ ებრაელთა დასახლება ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.

●

იუგოსლავიის ფედერაციული არმია განაგრძობს შეტევებს აღმოსავლეთ ხორვატიის ქალაქ ვუკოვარზე, რომელიც უკვე ორი თვეა ალყაშია მოქცეული, ასევე ადრიატიკის ზღვის საპორტო ქალაქ დუბროვნიკის გარეუბნებზე.

ევროპის თანამეგობრობა აცხადებს, რომ შემოიღებს ეკონომიკურ სანქციებს სერბიის მიმართ, თუ სამშაბათამდე რესპუბლიკა არ მიიღებს თანამეგობრობის სამშვიდობო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს იუგოსლავიის გადაქცევას სუვერენულ რესპუბლიკათა ასოციაციად. თუმცა ტანიუგის სააგენტოს მოჰყავს სერბიის პრეზიდენტის ს. მილოშევიჩის სიტყვები იმის შესახებ, რომ სერბია არ მიიღებს არავითარ ულტიმატუმს.

სერბია იუგოსლავიის ერთადერთი რესპუბლიკაა, რომელიც უარს ამბობს ევროპის თანამეგობრობის სამშვიდობო გეგმის მიღებაზე. ეთნიკურ სერბებს ეშინიათ, რომ დამოუკიდებელ ხორვატიაში მათ ემუქრებათ დევნა.

ამასობაში გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. შობლემ განაცხადა, რომ ევროპის თანამეგობრობა მზად უნდა იყოს იუგოსლავიაში ჯარების გასაგზავნად და რომ გერმანიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში, თუ ასეთი აუცილებლობა შეიქმნება.

●

თურქეთის ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ცნონ თუ არა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. როგორც „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტო იუწყება, მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის შედგება მინისტრთა კაბინეტის სხდომა. ორი კვირის წინ თურქეთში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები და ქვეყნის ახალი მთავრობა ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული. კვირას ჩატარდა მოლაპარაკებები თურქეთის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელ ილმაზსა და აზერბაიჯანის პრემიერ ჰასანოვს შორის. როგორც ანატოლიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ისინი შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია თურქეთის მიერ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარება.

●

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი გორბაჩოვი და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი პრესტონი მოსკოვში ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისათვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევას ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკის სფეროში სპეციალისტთა მომზადების მიზნით. გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის გახსნა მოსკოვში. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, პრესტონი განიხილავს ასევე ცალკეულ რესპუბლიკებთან ორმხრივი შეთანხმებების ხელმოწერის შესაძლებლობას. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის თქმით, მისი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ზოგიერთი რესპუბლიკა ასეთ შეთანხმებას ხელს მოაწერს სამშაბათს.

●

რუსი ეკონომისტის ე. გაიდარის პრონგოზით, ბ. ელცინის ეკონომიკური რეფორმების ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში ფასები გაიზრდება სულ მცირე 200 პროცენტით. „ბი-ბი-სი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში მან ამასთანავე აღნიშნა, რომ ალბათ მნიშვნელოვნად შემცირდება სუბსიდიები სურსათზე, რათა გამოთავისუფლდეს თანხები მოსახლეობის სოციალური დაცვისა და მისი ფინანსური სიძნელეების შემსუბუქებისათვის.

ირინა თევდორაშვილი.

ჟორნალისტების მოყვარულთა საყურადღებოდ!

ბოლო დღეებში ჟორნალების გამავრცელებელი სამსახური ათასგვარ სიბინძურეს ავრცელებს ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას გარშემო. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: თითქოსდა მისი ბინიდან ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა უამრავი იარაღი, ტელევიზიიდან მიტაცებული ვიდეო-აუდიო აპარატურა და სხვა... ვალერი კვარაცხელია დააკავეს თბილისის საბურთალოს რაიონის მილიციის განყოფილების თანამშრომლებმა ტელევიზიასთან, როცა ის ტაქსიდან გადმოვიდა... და ემზადებოდა პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად, რაც შეეხება მის ბინას, დღეისთვის მას, როგორც ასეთი, საკუთარი ბინა არ გააჩნია. ჩაწერილი არის და ცხოვრობს ჩემთან. 21 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ჩემს ბინაში მოვიდნენ საბურთალოს მილიციის თანამშრომლები: ქ. ონიკაური, ბ. ჩემია, მ. ბაღათურია, თანამოწმეები: გ. დოლმაზაშვილი, ა. ტერეშვილი და ჩაატარეს ჩხრეკა. „მათ აღმოაჩინეს“ ჩემი საკუთარი კინოკამერა „კრასნოგორსკ-3“, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის კუთვნილი ვიდეოკამერა და ჩემი და კავშირის კუთვნილი 11 ვიდეოკასეტა. რა თქმა უნდა, კინოკამერა და ვიდეოკამერა იმავე დღეს დამიბრუნეს, ვიდეო-კასეტები კი პროკურატურის თანამშრომლების მიერ, ჩემი თანდასწრებით სათანადო შემოწმების შემდეგ. ასე რომ, ჟურნალისტის მიმართ ჟორების ეს ნაწილი გაზვიადებული მეჩვენება.

ბადრი ვადაჭკორია

ჩხრეკა დაიწყო „8“ ს. „30“ წ. ჩხრეკა დამთავრდა „9“ ს. „30“

Обыск начат «——» ч. «——» м. ОБЫСК ОКОНЧЕН «——» ч. «——» м.

ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა:
Произведенным обыском обнаружено:

№№ რიგზე п.п.	აღმოჩენილი ნივთების დასახელება და აღწერა Наименование и описание обнаруженных предметов	[illegible]
1.	~~ვიდეო კამერა „კრასნოგორსკი 3 1989 წ. ~~ ~~ბოლშევიტი № 8904222, ობიექტივის~~ ~~№ 4965222~~	~~ოფიციალური~~
2.	~~ვიდეო კასეტები 11 (ათხუთმეტი) ცალი~~	~~ფიზიკური~~
3.	~~ვიდეო კამერა „ 17 ფოტოტიტი“ № 10413021079~~	~~ოფიციალური~~

ევროსაბჭოს წარმომადგენლის არაოფიციალური ვიზიტი

წინა კვირაში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის ვიცე-თავმჯდომარე, შვეიცარიელი პროფესორი შტეფან ტრექსელ-კინსბერგერი და გერმანელი ფსიქოთერაპევტი, მელხიორსგრუნდის კლინიკის სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელი ვოლფგანგ ფრიკე (ეს უკანასკნელი 9 აპრილს შემდეგ რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩვენთან). საქართველოში ისინი ჩამოვიდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრისა“, „ქარტია-91“-ის და მათთან ალიანსში მყოფი პარტიების მოწვევით. აქ ყოფნის რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი შეხვდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენლებს და როგორც თავად გვითხრეს, თვით საქართველოს პრეზიდენტსაც.

შაბათ საღამოს, კინოს სახლში ბატონ ტრექსელსა და ბატონ ფრიკეს შეხვედრა ჰქონდათ ტელერადიოდეპარტამენტის გაფიცულ თანამშრომლებთან, რომლის შემდეგაც გაიმართა პრესკონფერენცია.

ტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომელთა საპროტესტო აქციის შესახებ სტუმრებს მოუთხრეს: თ. ცაგარეიშვილმა, კ. კახაბრიშვილმა, გ. ქოქიაშვილმა, მ. ბერაძემ, დ. შონავამ. კერძოდ, მათ თქვეს, რომ უკვე თითქმის ორი თვეა, რაც ტელერადიოდეპარტამენტში მიმდინარეობს საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობს 400-ზე მეტი თანამშრომელი და რომლის მოთხოვნებია პრესის კანონის დაცვა, ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადადგომა და ახალი კოლეგიის არჩევა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთავრობასთან მოლაპარაკებებს რაიმე კონსტრუქციული შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, დააპატიმრეს აქციის ერთ-ერთი მონაწილე (რომელიც შემდეგ გამოუშვეს), ხოლო უზენაესი საბჭოს სესიაზე არც კი წაიკითხეს მათი მოთხოვნები და ა. შ. მათ თქვეს, რომ ტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომელთა საპროტესტო აქცია გაგრძელდება მანამ, სანამ მათი მოთხოვნები არ შესრულდება. კერძოდ, სანამ არ შესრულდება მთავრობის დაპირება ალტერნატიული ტელერადიოპროგრამების შექმნისა და დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ჩამოყალიბების შესახებ (მეორე არხზე).

ამავე შეხვედრაზე ინფორმაცია გააკეთა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიის“ თანამშრომელმა დათო ბაღათურიამ. მან თქვა, რომ 19 სექტემბრის შემდეგ გაფიცულია რედაქციის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი და მათი მოთხოვნებიც ძირითადად იგივეა, რაც ტელერადიოს თანამშრომლებისა.

შემდეგ სტუმრებმა და მათმა მასპინძლებმა უპასუხეს ჟურნალისტების შეკითხვებს. კერძოდ, სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაზე, რომელიც, მათი აზრით, უფრო პროგრესულია, ვიდრე ახლანდელი და მასპინძლებს აღუთქვეს, რომ შვეიცის მთავრობისა და საარლანდის ტელევიზიის მეშვეობით მათს მოთხოვნებს გააცნობენ ევროპის საზოგადოებრიობას.

საკუთარი ინფორმაცია

ხელმძღვანელის კვლის ბრეზველოვის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე. ინსტიტუტი მოამზადებს ინჟინერ-ტექნოლოგ-ეკონომისტებს შემდეგი დარგებისათვის:

1. მეღვინეობის, ლიქიორ-არაყის, სპირტის, კონსერვების, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების და ლუდის მრეწველობა;

2. ხორცის, ყველ-კარაქის და რძის, თევზის და მატყლის პირველადი გადამამუშავებელი მრეწველობა;

3. პურპროდუქტების, კომბინირებული საკვების, საფუვრის, მაკარონის, საკვები კონცენტრატების, საკონდიტრო და შაქრის მრეწველობა;

4. ჩაის, სუბტროპიკული კულტურების, თამბაქოს, სპარფიუმერიო-კოსმეტიკური ნაწარმის და ეთერზეთების მრეწველობა;

5. ხაზოგადოებრივი კვების საწარმოები.

სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია. I კურსის სწავლის საფასურია 6,0 ათასი მანეთი. სხვა წლების საფასური განისაზღვრება ფულის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. მისი გადახდა შეიძლება, როგორც გადარიცხვით იურიდიული პირების მიერ, ისე ინდივიდუალურად ნაღდ ანგარიშზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი, ასაკის მიუხედავად. აბიტურიენტები საბუთების შეტანისას იხდიან 70 მანეთს გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით ინსტიტუტს შეიდრო კავშირი ექნება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების შესაბამის სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებთან. წარჩინებული სტუდენტები პროფილით ცოდნის გაღრმავების მიზნით მივლინებული იქნებიან საზღვარგარეთ.

აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება გასაუბრების წესით შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, ქიმიაში, ეკონომიკურ გეოგრაფიასა და ქართულ ლიტერატურაში.

სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს სტუდენტად ჩარიცხვიდან 1 კვირის განმავლობაში. წარჩინებულ სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია. ინსტიტუტი კონკურსგარეშე ჩარიცხავს ინვალიდებს, ყველა სპეციალობაზე თითო აბიტურიენტს. ამასთან, სწავლის საფასურს ნახევარს გადაიხდიან. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

საბუთები მიიღება 25 ნოემბრამდე, 10 საათიდან 17 საათამდე, ყოველდღე. გამოცდა-გასაუბრება ჩატარდება 28-29 ნოემბერს დილის 10 საათიდან. სწავლა დაიწყება 2 დეკემბერს.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 086), 6 ფოტოსურათი (3X4 სმ); პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

ინსტიტუტის მისამართი:
გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის საშუალო სკოლა.

რექტორატი.

თვალსაზრისი

ვთქვათ მწარე სიმართლე!

ეს წერილი შეიძლება ზოგიერთს ზედმეტად პრეტენზიული მოეჩვენოს, მაგრამ, დამეთანხმებით, აღარ არის მაამებლური, გულისმომგები საუბრის დრო. ამის უფლებას აღარ გვაძლევს უკანასკნელი დღეების ტრაგიკული მოვლენები. ამას წინათ ერთ საუბარში ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა თქვა: ქართველები იმისათვის ვთვრებით, რომ მერე მკლავები გავშალოთ და რიხიანად შემოვძახოთ — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო. ამ მწარე იუმორში პოეტის ღრმა გულისტკივილი ვიგრძენი.

მე, პროვინციული სკოლის მასწავლებელს, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ვიცი ბევრი გამამტყუნებს, ბევრიც შემომიტევს. შეიძლება რიგითი მოქალაქის ნათქვამმა მიზანს ვერ მიაღწიოს, ამიტომ მივმართავ ჩვენი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებს, უთხრან ქართველებს მწარე სიმართლე, ისე როგორც ამას თავის დროზე ილია, აკაკი და ვაჟა აკეთებდნენ.

●

ცნობილ მოაზროვნეს უთქვამს: „საცოდავია ის საზოგადოება, რომელიც არ იცნობს ჯალათზე უკეთეს დამცველს“. და მართლაც, ქართველ ხალხს დიდი ხანია არ ჰყოლია ჭეშმარიტად გულწრფელი, სიყვარულით გულანთებული დამცველი, რომელსაც ამასთან კარგად უჭრიდეს გონებაც, თვალიც და ხმალიც. ჩვენი ბედის ჩარხ-ბორბალი ისე დატრიალდა, რომ საუკუნეების მანძილზე მუდამ ერთი ჯალათი გვიცავდა მეორისაგან, რათა როგორმე დავემარტოხელებინეთ და ჩვენი სისხლით გამძღარიყო. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ეროვნულ ცნობიერებას და პოლიტიკურ ალღოს: ერთმანეთში აგვერია შინაური და გარეული, მტერი და მოყვარე, ერთი კედლიდან მეორეს მივაწყდით, ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოვჩნდით.

— ჯერ იყო და, თავისუფლებადაკარგულნი და შეურაცხყოფილნი ქაქუცა ჩოლოყაშვილს დროშის ქვეშ გავერთიანდით და გაბოლშევიკებულ რენეგატ ქართველებს უთანასწორო ბრძოლაში დავუპირისპირდით, ბევრი სისხლიც ვღვარეთ; ხოლო შემდეგ ამავე რენეგატთა შორის უსასტიკესის სახელის დაცვას მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე შევწირეთ, კვლავ სისხლი ვანთხიეთ.

ქართული ხასიათის პოლარულობაზე და სპონტანურობაზე ბოლო პერიოდის ამბებიც კარგად მეტყველებს, კერძოდ ის, რომ სულ ახლახან დიდი უპირატესობით არჩეული ხელისუფლება დღეს ხალხის კრიტიკისა და აღშფოთების ქარცეცხლშია მოქცეული. ნუთუ ასე სწრაფად შეიცვალნენ ის ადამიანები, ვინც ცოტა ხნის წინ საზოგადოების დიდი ნაწილის აღფრთოვანებას იწვევდნენ? იქნებ მაშინ ვერ შევნიშნეთ მათი ნაკლი? თუ ახლა ვცდებით?!

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კვლავ დაბნეულები ვართ, რაც დაბალი პოლიტიკური კულტურის და არაკომპეტენტურობის ნიშანია.

უკანასკნელ ხანს საქართველოს მრავალი ჭირი დაატყდა თავს: პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, სტიქიური უბედურებები, ეთნიკური კატაკლიზმები, ჩვენთვის უჩვეულო ლტოლვილების გაჩენა, სისხლის ღვრა, მოთქმა და გოდება. ყოველივე ამით გამოწვეულმა დაძაბულობამ ხალხი ერთგვარ შოკში ჩააგდო. სამაჩაბლოს კრიზისის გამწვავებამ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება — თავი იჩინა გაუმართლებელმა ამბიციურობამ, აღვირახსნილმა ემოციებმა, გაისმა აგრესიული მოწოდებები ძალადობისაკენ, შურისძიებისაკენ... მდგომარეობის ესკალაციის თავიდან აცილების, სტაბილიზების მიზნით ვითარების გამანეიტრალებელი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა ჭართულ პრესას, ტელევიზიას, რადიოს. მაგრამ ინფორმაციის ჩვენმა საშუალებებმა, სამწუხაროდ, სრულად ვერ გაართვეს თავი ამ რთულ და საპასუხისმგებლო მისიას, ვერ ამაღლდნენ ემოციებზე, ვერ დაიკავეს კორექტული, მშვიდი, გაწონასწორებული პოზიცია, რითაც შეიძლება ითქვას, ცეცხლზე ნავთი დაასხეს; ეკრანიდან ვვიჩვენებდნენ ამაზრზენ, გულისშემძვრელ კადრებს — ცოცხლად დამწვარ, ნაწამებ, დასახიჩრებულ ადამიანთა გვამებს. პრესა დაეთმო სტატიებს, რომლებშიც დეტალურად იყო აღწერილი სისასტიკე, ვანდალიზმი, სადიზმი, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების მხრიდან. საეჭვო მხოლოდ ერთია: იყო კი საჭირო ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ასეთი სასტიკი ინფორმაციული წნეხის ქვეშ მოქცევა. დამეთანხმებით, რომ ვითარების გაუმჯობესება ამას არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა.

პოლიტიკურ შეცდომათა ჯაჭვის გაგრძელება იყო ისიც, რომ „ცხელი თავები“ სამაჩაბლოში დატრიალებულ სისასტიკეს, გარკვეულ ექსტრემისტულ ბანდებსა და ტერორისტულ ჯგუფებს კი არა, მთელ ოს ხალხს მიაწერდნენ — გაისმოდა და ახლაც გაისმის ერის შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ბრალდებები. ზოგიერთი ცდილობს ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიული მტრობის არსებობა დაამტკიცოს, არის ლაპარაკი ოსების გენეტიკურ პირსისხლიანობაზე, მოღალატეობაზე, სისასტიკეზე: „დაწეთ ბედის ირონია? **ოსნი,** ეს ძველი თვითმპყრობელობის ერთგულნი ყმანი, პრისტავთა და მემამულეთა მონაპორრნილნი, **ეს დედის მუცლიდან სტრაუნიკებად შობილნი...**“ (საქართველოს რესპუბლიკა“ 28. 2. 91., „საქართველო და ოსები“); **„ოსი მამაკაცები** ერთიანად ტყეში არიან გასულები, რათა სრული თავისუფლება მისცენ თავიანთ **ძვალ-რბილში ოდითგან დაბუდებულ საძრახის ჩვევას** — ქურდობას, „ავაზაკობას, შარაგზაზე ყაჩაღობას...“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 16.4.91... „ტაძრისაკენ სავალი გზა“). ასეთი ციტატების მოყვანა მრავლად შეიძლება ბოლოდროინდელი ქართული პრესიდან, რაც ერთიორად გვიმრავლებს მტრს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მთელი ერის ასეთი ლანძღვა ელემენტარულად არაცივილიზებულია და სახელს უტეხს ჩვენს ისედაც არამყარ ავტორიტეტს. რა მიზნით კეთდება ეს? ვის აძლევს ხელს საქართველოში ეროვნული ფსიქოზის კიდევ უფრო გაღვივება?! მტრობის, შურისძიების გრძნობები არასოდეს ყოფილა ქართველთა ორგანული თვისებები. ასეთი ტენდენცია ჩვენი ისტორიის ბოლო პერიოდის ნაყოფია და ამ გრძნობებზე თამაში დანაშაულია, დიდი დანაშაული.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები აღნიშნულ პრობლემებს სულ სხვა კუთხით წყვეტდნენ, ამის დასტურია ვაჟას ჯოყოლა, ალუდა, რომელთა ბრძოლის მთავარი იარაღი იყო მარადიული ღირებულებები. რატომ გვსურს დავამძიმოთ ჩვენი უკვე ათასჯერ დამძიმებული სული, შევაჩვიოთ მტრობას, სიძულვილს, ბოღმას, გესლს; ნუთუ ასე უფრო გაგვიადვილდება ცხოვრება, ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის. არა მგონია, მტრის ხელით დაღუპული თანამამულეების ხსოვნა ამას გვავალდებულებდეს.

მოდით, ზემოთ მოყვანილ ციტატებს სხვა ისტორიული ფაქტები დავუპირისპიროთ, — იქნებ ცოტა გავთავისუფლდეთ, გადავიგდოთ მძიმე ტვირთი გულიდან: 1496 წ. შაჰ-ისმაილი ტფილისში ქართველებმა დაამხეს და გააძევეს. ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას; 1536 წ. შაჰ-თამაზი საქართველოდან ქართველებმა განდევნეს, ტფილისის განთავისუფლებაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას; 1583 წ. სვიმონ მეფემ გორი აიღო, ოსმანონი განდევნა, დამონებული ოსეთი სულ გაათავისუფლა, ამ ომში ოსებიც მონაწილეობდნენ; 1617 წელს, როცა შაჰ-აბასმა კახეთი აიკლო, ოსეთიდან ჩამოსულმა ოსებმა ფიცი მისცეს კახელებს და მის შემდეგ მტერს ერთად ებრძოდნენ; 1640 წელს მტერთაგან დევნილმა თეიმურაზ კახთა მეფემ ოსებში შეიფარა თავი; 1690 წ. არჩილ მეფემ ოსებში შეიფარა თავი, ოსთა მოწინავე პირნი შეჰყარა და უქადაგა სწავლა-განათლების მნიშვნელობა. მერე არჩილ მეფემ რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა, გააცნო სასტამბო საქმეები...

ეთნოკონფლიქტების დაძლევის გზები ჩვენს წარსულში უნდა ვეძიოთ. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ჩვენი წინაპრების მდიდარი გამოცდილება, საქართველოს ისტორია ის უძირო საგანძურია, საიდანაც მრავალ მტკივნეულ საკითხს შეიძლება მოეძებნოს გასაღები. დავით აღმაშენებელმა შეძლო ურთულესი პოლიტიკური კრიზისის პირობებში შეექმნა ჰარმონიულად შერწყმული საზოგადოება, რომელიც დაფუძნებული იყო დემოკრატიზმის, შენდობის, შემწყნარებლობის პრინციპებზე, რამაც გზა გაუხსნა საქართველოს ოქროს ხანისაკენ. „იყო მეფე დავით, წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ხვთისმოსავობით და კეთილი სამართლიანობით...“ ეს სიტყვები სხვა ეროვნების ადამიანს უთქვამს და, ამდენად, განსაკუთრებით სასიამოვნო მოსასმენია ქართველი კაცისათვის, მით უფრო, დღეს, როცა მოძმე მტრად გადაგვეკიდა, მოყვარე მოსისხლედ გვექცა, მამული სადავო გაგვიხდა.

ადამიანს სჩვევია გაჭირვების ჟამს განტევების ვაცის ძიება, მის თავზე დატრიალებული დავიდარაბის სხვისთვის გადაბრალება. ახლა ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, თითქოს ჩვენი გენეტიკური ლოიალობის, შემწყნარებლობის, ზედმეტი ხელგაშლილობის მსხვერპლნი გავხდით, გაუმართლებელმა გულმოწყალებამ მრავალი უცხო ტომის მოდგმით გაავსო ჩვენი ქვეყანა და ეს იქცა ქართველი კაცის ყველა უბედურების უმთავრეს მიზეზადო. თუ ასეა, მაშინ როგორ ავხსნათ ის, რომ დემოგრაფიული კეთილსაიმედობის პირობებში ვერც სომეხმა ერმა შექმნა თავის ქვეყანაში მიზიერი სამოთხე, ხოლო ევროპის ქვეყნების უმრავლესობა სულაც არ იტანჯება იმით, რომ მათი დემოგრაფიული ბალანსი ხშირად საქართველოზე უარესია. იქნებ არ იყოს ურიგო ზოგი რამ საკუთარ თავსაც დავაბრალოთ, მით უფრო, რომ ამის საბაბი მრავლად გვაქვს; თუნდაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში შექმნილი მწვავე ანტაგონისტური დაპირისპირება, ერის პოლიტიკურ-კასტური დაყოფა-დანაწილება, თვითკრიტიკის, სხვისი აზრის პატივისცემის, დანდობის დეფიციტი, მტრის ძიების მანია კვლავ მძლავრობს დღევანდელ საქართველოში. იდეათა ჭიდილმა არ უნდა დაგვავიწყოს უზენაესი ზნეობრივი ფასეულობები. ჩვენ ხომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ და ამის შემდეგ — ქართველები. ამდენად უპირველესად ჰუმანიზმი უნდა განსაზღვრავდეს ჩვენს ცხოვრებისეულ პოზიციას.

საკუთარი ინტელიგენციის წინააღმდეგ წარმოებული ომი საქართველოში კვლავ გრძელდება. გავიხსენოთ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი მერაბ მამარდაშვილი, პიროვნება, რომელიც მსოფლიო ინტელექტუალური ელიტის ნაწილი იყო, რომელმაც დროს გაუსწრო და ახალი სიტყვა თქვა ფილოსოფიურ აზროვნებაში, საკუთარ სამშობლოში კი დამცირების, შევიწროების და შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა. ასეთივე დამოკიდებულებაა იმათ მიმართ, ვინც განსაკუთრებული ნიჭის წყალობით სახელი გაუთქვა თანამედროვე ქართულ კულტურას, ვინც ქმნის ჩვენი ერის სულიერ საგანძურს. სალანძღავი სიტყვები ისმის: აკაკი ბაქრაძის, ლიანა ისაკაძის, ვახტანგ ჭაბუკიანის, რეზო ჩხეიძის, ელდარ შენგელაიას და სხვა გამოჩენილი ადამიანების მიმართ. როგორ წააგავს ყველაფერი ეს ჩვენი ისტორიის იმ სამარცხვინო ფურცელს, როცა ტერორიზებული იყო ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი. მარტო იმის გახსენება რად ღირს, როცა ოცი-ანი წლების ბერდვლათმა კომკავშირლებმა უნივერსიტეტიდან გამოაძევეს მისი დამაარსებელი და დამფუძნებელი ივანე ჯავახიშვილი... თუ ჩვენ ვერ დავაღწიეთ თავი დაუნდობლობის, სიძულვილის, ამპარტავნობისა და უმადურობის მძიმე სენს, მომავალი თაობა მაინც დავინდოთ, რადგან მათი სული სარკეა და ამ სარკეში არეკლილი სიმახინჯე ისევე ჩვენ დაგვიბრუნდება, საქართველოს დაუბრუნდება!

იმ მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის, რომლებიც ჩვენში დაგროვდა, უმნიშვნელოვანესად მესახება ქართველი კაცის რწმენის საკითხი. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თეოლოგია განსაზღვრავდა ადამიანის სულიერ, ზნეობრივ და მორალურ კატეგორიებს. რელიგია პირდაპირ ზემოქმედებდა ფსიქიკის, ინტელექტის, გონებრივი შესაძლებლობების ფორმირებაზე. დღეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეოლოგიური ბუმია ატეხილი — მრევლმა იმატა ეკლესიაში, რაც გრკვეულად სიხარულს იწვევს, მაგრამ საფიქრებელია, აქვს კი მყარი საფუძველი ხალხის მიერ მასიურ მობრუნებას ეკლესიისაკენ? იქნებ ესეც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნას ნიშნავს, რაც პროვინციალიზმისა და ბრბოს ფსიქიკის ერთ-ერთი გამოვლენაა. დავიჯეროთ, რომ ხალხმა, რომელმაც ისტორიულად არც თუ ისე დიდი ხნის წინ ეკლესიები ანგრია, ხატები წაბილწა და წმინდა ადგილები შეურაცხყო, ჯადოსნური კვერთხის დაქნევით ორთოდოქსალ მორწმუნედ იქცა, სანთლები დაანთო და თვალცრემლიანმა პირჯვრის წერა დაიწყო?!

გასაგებია, რომ ქრისტიანობა არ მოითხოვს განსაკუთრებულ განსჯას, რწმენის ლოგიკურ არგუმენტირებას, როდესაც ეშმაკმა მაცხოვარს ყოველსშემძლეობის დამტკიცება სთხოვა, ქრისტემ უპასუხა: ადამიანმა არ უნდა გამოცადოს სიკეთე ღმრთისა, საჭიროების გარეშე არ უნდა მოელოდეს სასწაულს. ეს ბუნებრივიცაა — დიდი სიყვარული მტკიცებას არ საჭიროებს. განა ადამიანს შეუძლია ახსნას მშობლის, სამშობლოს სიყვარული. ეს ფენომენი აუხსნელია, მაგრამ ამ უცაბედ შემობრუნებაში ღმერთისაკენ რაიმე სოციალურ-პოლიტიკური მიზნები ხომ არ ძევს? ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მაღალი ტრიბუნიდან ხშირად გაისმის თითქმის კატეგორიული მოთხოვნები, რომ ქართველი კაცი უეჭველად მორწმუნე უნდა იყოს. იქნებ ეს კვლავ ახალი ცდაა ხალხის ერთი, რუხი ფერის მასად ქცევისა. თუ კომუნისტური რეჟიმის დროს რელიგია საბჭოური ცხოვრების შიუღებელ ატრიბუტად აღიქმებოდა, დღეს ჩვენ საპირისპირო მოვლენას ვაწყდებით — თუ ეკლესიაში არ დადიხარ და არ ლოცულობ. ეს რაღაც კომუნისტურთან გაიგივებს, ხოლო ათეიზმი შეიძლება ითქვას საერთოდ იდევნება საქართველოში. მაშ, რა ვუყოთ მსოფლიოს დიდ მოაზროვნეებს, ვინც არ იზიარებდა რელიგიისადმი ამგვარ მიდგომას? აღარ ვიკითხოთ ნიცშე, ფროიდი, კამიუ და მრავალი სხვა?

რასაკვირველია, ღმერთისაკენ სწრაფვა კარგია, მაგრამ ბრმად კეთება ნებისმიერი საქმისა შედეგს არ მოგვცემს. მორწმუნე მაშინ არის მორწმუნე, როცა მას ჭეშმარიტად სწამს და განუხრელად იცავს ქრისტიანობის ჰუმანურ პრინციპებს. დღეს კი ჩვენ ვხედავთ ანაფორაში გამოწყობილ პოლიტიკოსებს, რომლებიც ცხარედ კამათობენ პარლამენტში და მიტინგებზე, მუშაობენ პრეფექტებად... ალბათ ამის შედეგია ისიც, რომ მათი მრევლი ხშირად ქრისტიანული მიზნების ქადაგების ნაცვლად, მკერდზე ჯვრით და სანთლით ხელში მოძმეთა დარბევის, დაპატიმრებისა და ჩაქოლვისაკენ მოუწოდებს. ეს მახინჯი რწმენაა და აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ქრისტიანობასთან.

მრავალწლიანმა თავისუფლების დეფიციტმა ჩვენში თანდათან ჩამოაყალიბა კერპთაყვანისმცემლური ფსიქოლოგია, ადამიანი აქცია კრიტიკისუნარო მოკლებულ, შემსრულებელ სუბიექტად, რომელიც ადვილად ექცევა ამა თუ იმ პიროვნების ან იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. დემოკრატიის ხანგრძლივი დეფიციტი ისევე საზიანოა ერისათვის, როგორც მრავალწლიანი პატიმრობა ადამიანისათვის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ჩვენს თავს დატეხილ ყველა უბედურებას ერთი ძირი, ერთი მიზეზი აქვს — ქართული თვითშეგნების, ერის ხასიათის დეგრადაცია. დღეს აღარ უნდა მოგვერიოდოს ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველი ხალხი იქცა სოციალურ მასალად, რომელმაც დაკარგა ერისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თვისებები: თვითშეგნება, თავმოყვარეობა, განვითარების, სიცოცხლის, თავდაცვის, გამარჯვების ან თუნდაც ღირსეული დამარცხების უნარი...

გავთავისუფლდეთ სირაქლემას კომპლექსისაგან და ვაღიაროთ, რომ აღარაფრით ვგავართ აღმაშენებლისა და რუსთაველის შთამომავლებს, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, რადგან სწორედ აქედან უნდა დაიწყოს გამოფხიზლება, ურომლისოდაც საქართველოს მომავალი არა აქვს.

რევაზ ალდუნიშვილი
მარნეულის რ-ნის სოფ. ხიონის სშ. სკოლის მასწავლებელი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

1991/92 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელ კურსებზე. მსმენელებად ჩაირიცხებიან მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგის მუშაკები, რომლებსაც სურთ მიიღონ უმაღლესი ზოოტექნიკური (ზოოინჟინრის სპეციალობით) და სავეტერინარო (ვეტერინარი ექიმის სპეციალობით) განათლება.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე.

მეცადინეობა დაიწყება 1991 წლის 15 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1992 წლის 1 ივლისამდე.

განცხადება კურსებზე ჩარიცხვის შესახებ შემოტანილი უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი).
2. სამედიცინო ცნობა.
3. 6 ფოტოსურათი.
4. კურსებზე შემსვლელები პირადად **წარმოადგენენ პასპორტს.**

განცხადებების მიღება დაიწყება 1991 **წლის** 10 **ოქტომბრიდან** ყოველდღე დილის 10 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. კურსები იმუშავებს ინსტიტუტის სასწავლო ბაზაზე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი — **კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი,** ავტობუსი **№ 23** და **სამარშრუტო ტაქსი № 43** კოლმეურნეობის მოედნიდან.

ლორძინება ბრგო

გვერდს ბეჭდავენ „ბრგოს“ საქველმოქმედო ასოციაციის „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ბრგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გსურთ გზა გაიკვლიოთ ბიზნესის სამყაროში და არ ჩამორჩეთ დროის მოთხოვნებს, მიმართეთ საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტს“

ფირმა გთავაზობთ:

ნებისმიერი ტიპის მცირე საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნას;

სამეურნეო გაერთიანებათა (ასოციაცია, კონცერნი, კონსორციუმი და სხვა) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შემუშავება;

სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა არენდაზე გადაყვანისა და მათი შემდგომი პრივატიზების შესაძლებლობების შესწავლა და სათანადო დოკუმენტაციის შექმნა;

კომერციული ბანკის, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების დაფუძნებისათვის აუცილებელი დოკუმენტების პაკეტის შემუშავება;

საწარმოთა და სამეურნეო გაერთიანებათა საბუხჰალტრო დოკუმენტაციის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მისი მოქმედ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ჩვენი მისამართია: 380007 ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ.№18 (თავისუფლების მოედანთან), მე-4 სართული.

ტელეფონები: 99-02-76, 93-99-70, 11 სთ-დან 17 სთ-მდე.

ქსლგც

გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ცართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44

მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მოსამზადებლად ვაცხადებთ მიღებას.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა,მოეწყობა როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვე. კურსებს უხელმძღვანელებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა (ფსიქო), 3 ფოტოსურათი 3-4-ზე, პასპორტი.

მისამართი: ახალქალაქის ქ.№2. 32 პროფ-ტექნიკურ სასწავლებელში.(მეტრო სადგური ნაძალადევის უკან), 14-დან 19 სთ-მდე. ტელ.: 66-14-90

ფირმა „სერვის ბიურო“ სამუშაოდ იწვევს! მძღოლს საკუთარი მანქანით.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედნიდან)
ტ.: 93-20-76

გამომცემლობა „ევრიკა“

ორგანიზაციებისაგან, კოოპერატივებისაგან და ინდივიდუალური ავტორებისაგან იღებს შეკვეთებს წიგნებისა და ბროშურების გამოსაცემად.

მოგვმსახურებით მაქსიმალურად **ხარისხიანად, ოპერატიულად და იაფად.**

ჩვენთან თანამშრომლობა თქვენი წარმატების საწინდარია.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.№38 (55-ე სკოლის შენობა), 15-დან 17 სთ-მდე.

ტელ: 23-20-85.

ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

მხოლოდ მათთვის, ვისაც საკუთარი სიამოვნებისათვის ქაღალდადაქცეული საბჭოთა მანეთები არ ენანება, ფირმა „ზევსი“ აწყობს უაღრესად პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“—მარშრუტით: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი. კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 10890 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება მხოლოდ 15 ნოემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალინდაძის) ქ.№3 (სასტუმრო „საქართველოსთან“) მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! გახსოვდეთ, რომ ფირმა „ზევსი“ არსებობს და მოღვაწეობს მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის!

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების გამოსაქვეყნებლად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მიხამართი: ბუდაპეშტის ქ.№1.

ტელეფონი: 37-58-25 ან 37-06-64 (10სთ-დან 18სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, და ა.შ.) მოგვმართეთ 14სთ-დან 17სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 5 მანეთია, კერძო პირებისათვის 3 მანეთი.

ფირმა „სერვის ბიურო“

თუ თქვენ გსურთ გახსნათ:

კოოპერატივი, კონცერნი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქციონერო საზოგადოება, მცირე საწარმო, ფირმა, კერძო საწარმო, ასოციაცია, ერთობლივი საწარმო

მიმართეთ ფირმა „სერვის ბიუროს“,

რომელიც ამზადებს სარეგისტრაციო საბუთების სრულ კომპლექტს:

1. წესდება;
2. დამფუძნებელი ხელშეკრულება;
3. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
4. ბეჭდისა და საწარმო ბლანკის ესკიზები;
5. სხვა საჭირო საბუთები;

საფინანსო და იურიდიული კონსულტაცია. ჩვენთან მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები თანამშრომლობენ.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან), I სართული,
ტ.: 93-20-76

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი ბეჭდავს კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ნოშარაულის 29,
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.